ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 458

22 სექტემბერი
"___" _____ 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, იუმაშევის ქ. №14-ის მიმდებარედ არსებული 414 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.19.26.004.151) პირდაპირი განკარგვის წესით სს „ლილო 1"-ისთვის (ს/ნ. 206268741) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, იუმაშევის ქ. №14-ის მიმდებარედ არსებული 414 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.19.26.004.151) პირდაპირი განკარგვის წესით სს „ლილო 1"-ისთვის (ს/ნ. 206268741) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 20 სექტემბრის №23.1383.1492 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, იუმაშევის ქ. №14-ის მიმდებარედ არსებული 414 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.19.26.004.151) პირდაპირი განკარგვის წესით სს „ლილო 1"-ისთვის (ს/ნ. 206268741) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4968 (ოთხი ათას ცხრაას სამოცდარვა) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე